სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

22 თებერვალი 2024

N 21/1784

შპს „კანიონ ვილიჯს“

მის: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ბოჭორმის ქუჩა N 21

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი N12908 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტს და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- **სკოპინგის ანგარიშის ტექსტის ნაწილი (მაგ: სამშენებლო სამუშაოები, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, ხმაურის გავრცელება, ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და ნიადაგზე, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება, ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, კუმულაციური ზემოქმედება, პროექტის ფარგლებში გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები და სხვ.) პრაქტიკულად იმეორებს საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დაგეგმილი პროექტების სკოპინგის ანგარიშების ტექსტურ ნაწილებს რაც ცხადყოფს, რომ განხორციელდა ინფორმაციის კოპირება და არა საპროექტო ტერიტორიის რეალური შეფასება; ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა პროფილის კვლევების შესახებ, რომლებიც არ არის სანდო (მაგ: ზოოლოგიური კვლევის შედეგებში, მითითებულია ჩატარებული კვლევების GPS კოორდინატები სხვა კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე);**
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს (500 მეტრის რადიუსში) ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს, თუმცა საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ დაგეგმილია სს „ესსი ტაბახმელა დეველოპმენტის“, ასევე დაახლოებით 260 მეტრში შპს „მეტროპოლ ტაბახმელას“ და 650 მეტრში - შპს „ურბან სფეისის“ 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში შერჩეულ მიწის ნაკვეთებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ჩადინება გათვალისწინებულია მდ. კრწანისისხევში (დუქნისხევში), ასევე გამწმენდ ნაგებობებში გაწმენდილი წყლების გამოყენება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიების მოსარწყავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად საჭიროა ერთიანი ჰიდროლოგიური კვლევის განხორციელება, სადაც ასახული უნდა იყოს:

მიწათდაფარულობის/მიწათსარგებლობის ცვლილების ზეგავლენა ჰიდროლოგიურ რეჟიმზე; ურბანული არეალებისათვის ნალექის ინტენსიურობა-ხანგრძლივობის ანალიზი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სანიაღვრე სისტემების დაგეგმარება-მოწყობის პროცესში; ასევე, სკოპინგის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია კლიმატის ცვლილების სამომავლო სცენარებზე დაყრდნობით, კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობის შეფასების და ბუნებრივი საფრთხეების რისკების ზრდის/შემცირების ანალიზის ჩატარებისა და გზშ-ის ანგარიშში ასახვის შესახებ;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შერჩეული უბანი არ გამოირჩევა მაღალი საკონსერვაციო ღირებულებით. თუმცა, დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გავრცელებულია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა სახეობები, კერძოდ: ხმელთაშუა ზღვის კუ (Testudo graeca), ასევე მერქნიან მცენარეთა გვარის წარმომადგენელი თელა (Ulmus minor) და ჯადვარისებრთა გვარის სახეობები: Anacamptis morio; Dactylorhiza flavescens და Neotinea tridentata;
- სკოპინგის ანგარიშში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიაზე გაედინება მდ. დუქნისხევის (კრწანისისხევში) დროებითი შენაკადები. დეტალური პროექტირებისას, გზშ-ის ანგარიშში მოიაზრება მხოლოდ ერთ-ერთი ხევის ჰიდროლოგიური პარამეტრების გათვალისწინება (გვ. 44). აუცილებელია ანგარიშის ტექსტში ამ ფაქტის / მოსაზრების დასაბუთებული განმარტება;
- სკოპინგის ანგარიშში ტექსტურ ნაწილში არ არის მოცემული ინფორმაცია ხევებთან მიმართებაში წყალდაცვითი ზოლის შესახებ. თუმცა, ერთ-ერთ სქემაზე (გვ. 13) აღნიშნულია და ლეგენდაში მითითებულია „ხევიდან 10 მ-იანი დაშორება (შეზღუდვა)". სავარაუდოდ, შესაძლებელია ამ შეზღუდვაში იგულისხმებოდეს წყალდაცვითი ზოლის აკრძალვები. გზშ-ის ანგარიშის ტექსტური ნაწილი ამ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს, რამდენადაც, დუქნისხევის აუზის წყალდიდობა / წყალმოვარდნითი ხასიათიდან გამომდინარე, აღნიშნული მშრალი ხევებისთვის აუცილებელი და აქტუალურია წყალდაცვითი ზოლის იდენტიფიცირება და მისი დაცვა რეგლამენტის შესაბამისად;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია მდ. კრწანისისხევის (დუქნისხევის) სამი უსახელო შენაკადი ე.წ. მშრალი ხევი, თუმცა, რიგ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ოთხი უსახელო შენაკადი ე.წ. მშრალი ხევი, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მიმართული იქნება მდინარე კრწანისისხევის (დუქნისხევი) შენაკადში (ე.წ. მშრალი ხევი), რომელიც მდებარეობს საპროექტო არეალში. დაზუსტებული უნდა იყოს აღნიშნული მშრალი ხევის ადგილმდებარეობა (სიტუაციურ რუკაზე ასახვით), ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემის შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს გაწმენდილი ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხები;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი შენობა-ნაგებობების სიმაღლეების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული სქემატური ნახაზები წარმოდგენილი უნდა იყოს მაღალი გარჩევადობით, შესაბამისი აღნიშვნების მითითებით;

- სკოპინგის ანგარიშში მითითებული შემდეგი ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას: “თელების (Ulmus minor) გადარგვაზე გარკვეული პრობლემა არსებობს, რადგანაც ფესვთა სისტემის დაზიანების მაღალი რისკია, შესაბამისად ასეთ შემთხვევაში ორგანიზაცია იხდის საკომპენსაციო გადასახადს“.
- სკოპინგის ანგარიშში განხილულია დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის ორი ალტერნატიული ვარიანტი, თუმცა **გარემოსდაცვითი კუთხით არ არის დასაბუთებული** შერჩეული ადგილმდებარეობის უპირატესობები და დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ალტერნატივების შერჩევისას ყურადღება გამახვილდა სოციალურ ასპექტებზე, რადგან შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას. **ასევე აღსანიშნავია, რომ მეორე ალტერნატივით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე დაგეგმილია შპს „მეტროპოლ ტაბახმელას“ 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტის განხორციელება, რომელზეც ასევე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით. ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ალტერნატიული ვარიანტები განხილულ იქნა ფორმალურად.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო წყვეტს სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო